ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2218252

ნომერი: AR1338933

თარიღი : 02.09.2015

გაცემის თარიღი : 30.09.2015

გაცნობის თარიღი : 30.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) N37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე აბულაძე პ/ნ 62001003516
- თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. #17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის #1611996 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 02

სექტემბერს #AR1338933 განცხადებით მომართა ალექსანდრე აბულაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის #1611996 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის #1611996 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) ქ. #37–ში, შპს „თბილისის ხედი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 ივნისის ჩათვლით.

სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის #1611996 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს თბილისის ხედი. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #882014692848, მომზადების თარიღი: 25/12/2014 წ., ს/კ: #01.15.05.089.008) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს თბილისის ხედი. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #B12074764; მომზადების თარიღი: 08/06/2012 წ.; ს/კ: #404382020) თანახმად, შპს თბილისის ხედის დირექტორს წარმოადგენს ალექსანდრე აბულაძე.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, დამხმარე ფართობის – 43.1 კვ.მ–ის ამოღებას, საცხოვრებელ ფართობად 450.95 კვ.მ–ის ნაცვლად 493.95 კვ.მ–ის, საზაფხულო ფართობად 35.8 კვ.მ–ის ნაცვლად 35.78 კვ.მ–ის, სარდაფის ფართობად 180.55 კვ.მ–ის ნაცვლად 180.54 კვ.მ–ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 147.65 კვ.მ–ის ნაცვლად 147.63 კვ.მ–ის, ავტოსადგომის ფართობად 101.05 კვ.მ–ის ნაცვლად 101.03 კვ.მ–ის, ხოლო საერთო ფართობად 1087.35 კვ.მ–ის ნაცვლად 1087.18 კვ.მ–ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის #1611996 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის #1611996 ბრძანებაში, კერძოდ: ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას დამხმარე ფართობი – 43.1 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს – 493.95 კვ.მ., საზაფხულო ფართობად – 35.78 კვ.მ., სარდაფის ფართობად – 180.54 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად – 147.63 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად – 101.03 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად – 1087.18 კვ.მ.;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის #1611996 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.